

რედაქცია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქი შვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქი შვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროаზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ჯონკალ დე მრზაბათს გარდა

ფრომეტი

ცალკე ნომერი ღირს შაშხათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
უასი განცხადებნისა დღი ასობით ასობით—1 კაპ., ასობით ასობით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდა

ტუჩინსა, 13 ოქტომბერს. (ოფიციალური).
ბუშინ ღენერალმა ბურკომ, ათი საათის ბრძოლის შემდეგ, აიღო მსმალოს გამაგრებული ალაგი ბორნი ღუბნაკსა და ტელეუს შუა, სოფის გზაზე და ამაგრებს ამ ალაგს. ტყვედ ავიყვანეთ ანმედ-აგზი-ფაშა თავის შტაბის უფროსით, ბევრი აფიცრები, 3,000-მდინ სალდათი და მთელი ცხენოსანი პოლკი. 4 ზარბაზანი, ბევრი თოფი და საომარი მასალები ჩაგვივარდა ხელში. ჩვენი ზიანი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი; მაგრამ საკმაოდ უნდა იყოს.

მემკვიდრის ატრიალში, მტრის დათვლიერების დროს, მოგვიკლეს თ. სერგეი მაქსიმლიანოვიჩი, რომელსაც ავში მოხვდა ტყვია *).

მენა, 12 ოქტომბერს. თფილისიდან გაზეთს „Presse“-ში იწერებია, რომ რუსის ჯარებმა პენიაკი დაიჭირეს.

„პოლიტიკური ძორრესპონდენცია“ გვაცნობებს, რომ სერბიის მთავრობა ქრისტეშობისთვეში მოიწვევს პარლამენტსა (სკუპსჩინას).

სერბიის სამზღვართან დაყენებული მსმალოს ჯარები ჰერცოგოვინაში გაგზავნეს ჩერნოგორიის წინააღმდეგ.

მენა, 12 ღვინობისთვეს. აქაურს პოლიტიკურს და დიპლომატიურს წრეებში დარწმუნებით ამბობენ, ვითომც მსმალეთის მთავრობას გამოეცხადებინოს, რომ ის არ დათანხმდება რუსეთთან დროებით მორიგებაზე, თუ რუსის ჯარები ზამთარის განმავლობაში ბოლგარიაში დარჩებიანო.

*) მთავდი სერგეი მაქსიმლიანოვიჩი ლეიტენანტსა იყო შეილი ხელმწიფე იმპერატორის დის მარია ნიკოლოზის ასულისა. ის დაიბადა 1849 წელს; მასა საღამე 28 წლისა ყოფილა.

მენა, 11 ოქტომბერს. ჩერნოგორიასა და სერბიას შუა, მსმალეთის სამფლობელოში — რაზოვოში მოგროვალა დიდ-ძალი ჯარი მსმალეთისა, რომლის სარდლად ზემილ-ფაშა არის დანიშნული და რომლისაც მიზანი ის არის, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ჩერნოგორიის, სერბიის ანუ საბერძნეთის წინააღმდეგ გველაშქროს. ამას გარდა მსმალეთის ჯარები პოდგორიცშიაცა დგანან და ესენი კი მარტო ჩერნოგორიელების წინააღმდეგ არიან დაყენებულნიო.

რუსის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდა

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ოფიციალური დეპეშა ამბობდა, რომ მუხთარ-ფაშა დაიჭრა უკანასკნელ ბრძოლის დროს და შარში გაიქცაო. ნემეცური გაზეთი „Tagblatt“ კი გვარწმუნებს, რომ მუხთარ-ფაშა ამ დროს იქ არ ყოფილაო, შარში იყო, საზამთროთ თავის ჯარისათვის სდგომების მოსამზადებელადო. მეორე მხრით, გუშინწინ აქ ჩამოყვანილ ფაშებს უთქვამთ, რომ მართლაც მუხთარ-ფაშა იმ დროს ბრძოლაში არ ყოფილა, არზრუმისაკენ წაიდა, რადგან იქილამ ორმოც-და-ათი ბათალიონი ახალი ჯარი მოგვიდოდაო.

ჩვენს ქალაქში მოსული „ჰავასის სააგენტოს“ დეპეშა გვაცნობინებს, რომ მსმალოს მთავრობამ დიდ-ძალი ჯარი გამოგზავნა მცირე აზიის ბრძოლის ველისაკენო.

თავის დამარცხების შესახებ მუხთარ-ფაშას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია სტამბოლში:

„შარსი, 3 ღვინობისთვეს. დღეს დილით, როცა ჩვენ შარსის გზისაკენ გამაგრებას ვემზადებოდით, ამ დროს მტერი გამოვიდა ჰაჯი-მალიდამ და დავეცა ავლიარს, რომელიც ოთხი ბატალიონითა და სამი ზარბაზნით იყო გამაგრებული. ოთხი საათია სროლისა და

იერიშის შემდეგ ჩვენი ჯარები იძულებული შეიქნენ უკან დაეწიათ; მტერმა ავლიარს დაიჭირა და სხვა ჩვენი პოზიციები. ჩვენ დავიწიეთ შარსისაკენ. მეორე ნაწილი ჩვენი ჯარისა, რომელშიაც იყო რამიდის, მმარის, შევექეთის, მუსსასის და შიზინის ატრიალები, შარაჯადლისაკენ წაიდა. მტერს დიდ ძალი ჯარები ჰყვანდა; 200 ზარბაზნიდგან გვესროდნენ. რამდენიმე ჩვენი ღენერალი და აფიცრები მოკლული და ტყვედ წაყვანილია. 800 სალდათი მოგვიკლეს.“

მუხთარ-ფაშის დამარცხების გამო, მოსკოვის და პეტერბურლის ზოგიერთს ეკლესიებში მოლენვა გადაუხდიათ, და პეტერბურლის შალაქის რჩევას მოსალოცავეი დეპეშის გამოგზავნა გადაუწყვეტია ღიდის მთავარ-სარდლისათვის.


მეგობრის ბრძოლის ველიდა

შრანცუხული გაზეთი „Le Temps“ გვაცნობებს, რომ პლენოში მსმან-ფაშის არმია ძალიან შეწუხებულია, რომ იქილამ გამოქცეულ და რუსის ჯარში მოსულ სალდათებმა ილაპარაკესო, რომ ჩვენებს საჭმელ-სასმელი, ტყვია-წამალი და სხვა ყველაფერი აკლიათო, ავთომყოფობა აწუხებთო და პლენო, უთქველია, დღეს თუ ხვალ იძულებული იქნებაო, რომ დაგემორჩილოსო.

„ზასაკვირველი არისო, ამბობს ამის თაობაზე „Русский Мир“, რომ ისევ გაზეთები, რომელნიც ამისთანა ამბებს იწერებია მსმან-ფაშის არმიის მდგომარეობაზე, იმასაუ იწერებია, რომ სოფიის გზა პლენოს სრულებით თავისუფალი აქვსო, შევექეთ-ფაშამ, რომელიც ამ გზაზე დგას — მრზანიეში, სამჯერ შეგზავნა პლენოში დიდ-ძალი საჭმელ-სასმელი და ყოველ გეარი მასალებიო.

„ან ერთი, ან მეორე: თუ მართლა სოფიის გზა მსმან-ფაშას შეკრული აქვს, მაშინ მუდამ ახალ სურსათსა და საომარ მასალებს ვერ მიაწვდენდა იმას შევექეთ-ფაშა; თუ ეს გზა თავისუფალია, მაშინ პლენოს არმია უიმშილით არ უნდა იხრცებოდეს...“

ზაზეთის „Съварный Вестник“-ის ბუ-



ხარესტელი კორრესპონდენტი იწერება, მე ნამდვილის წყაროდამ შევიტყუო, რომ ოსმან-ფაშას ამ ქამად პლენეოში 50,000 ჯარი ჰყავსო.

ამავე გაზეთს შემდეგი ტელეგრამმა მოვლია ლონდონიდან 5 დეკემბრისთვის:

„შიპკოსთან ხელ-ახლად დაიწყო ბრძოლა. სულეიმან-ფაშა რაზგრადთან და მსკი-ჯუმასთან აგროვებს თავის ჯარებს.“

სულეიმან-ფაშის მოადგილეს, რეუფ-ფაშას შახანლიყში (შიპკოსთან) გაუშარ-თავს თავის უმთავრესი კვარტირა; ამ ქამად, როგორც მენის „Tagblatt“ გვაცნობებს, ის ამზადებს თურმე ჯარებსა იმ განზრახვით, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ისევ ბრძოლა შიპკოსთან და ეს საუკეთესო გადასავალი გზა ბალკანებისა რუსებს წაართვას. ამ გაზეთის სიტყვით, რეუფ-ფაშას ახლა შახანლიყში და შიპკოსთან სულ 10,000 კაცზე მეტი არ ეყოლებათ; მაგრამ ამ დღეებში ახალ ჯარებს მოეღოს სტამბოლიდანო.

საქართველო

დღიური

* * * ძიღვე უფ. ძუჴშინსკიზედ... როგორც ეტყობა, ჩვენი სიტყვა დაუჯერებია ამ ჩვენი სასულიერო სემინარიის გამომჩენილს ინსპექტორს: დარწმუნებულა, რომ სემინარიელებს არ მოაქვთ ჩვენი თქმული ამბები და ახლა მოსამსახურეები გამოუყრია, რადგან აღბათ ესენი უნდა იყენენ ვნის მიმტანიო!...

ფელტონი

პაპალონ მარკოვიჩი

მოთხრობა პრდოვისა

— თქვენა ხართ უ. ძუჴენკო?
— მე გახლავარ.
— ძლივს არ მოხვედით! თქვენ გელიან მოუთმენელათ. მეშინიან, რომ ასეთ მოლოდინს ცუდი შედეგი არ ექნება.

მე კითხვაც ვერ მოვასწარი: რა საქარო ვარ, ვინ შელის?—ისე წამავლო ხელი და წამათრია. როგორც ყველა ბებია-ქალები, ისე ყბედობდა ესეც, ერთი სიტყვის თქმა არ დამაცალა სხაპე-სხუპათ მომიყვა, თუ როგორ ძნელათ შობა, ყმაწვილი მკვდარი დაიბადა, მშობიარე ძალიან სუსტათ არის და სხვა-დასხვა. ამ ამბით მივედი ავთიმყოფის ოთახთან.

— აქ დამიცადეთო, — მითხრა, გაალო კარები და გაქრა.
მე დავჩინე ძანტო. თქვენ წარმოიდ-

მეორე მოქმედება უფ. ძუჴშინსკისა კიღვე უფრო შესანიშნავია:

შეუდგენია ქალაღი, თუ, მგონი, რაღაც სტატია, რომელშიაც სემინარიელების მაგივრად დაუწერია, რომ რაც „ღროებაში“ და „თფილისის მოამბეში“ ეწერა ჩვენს პურზე, რჩენაზე და საზოგადოთ ჩვენს პატივცემულ ინსპექტორზე, — სულ ტყუილია, პურიც კარგი გვაქვს, ყოველგვარი საჭუელიც ბლომათა და რაც შეეხება უფ. ინსპექტორს, ის სწორედ ისე გვეპყრობა, როგორც ნამდვილ მამასა და აღმზრდელს შეეფერებაო.

აუღია ახლა, როგორც გვითხრეს, ეს ქალაღი და შაგირდებისათვის ჩამოუტარებია, ხელი მოაწერეთ ზედაო. მაგრამ, საუბედუროთ, ერთის მეტს, არავის არ მოუწერია ხელი. ბევრი მუქარა, რომ გაგყრით ყველას, სასტიკად დაგსჯითო და სხვა ამისთანები შემოხარჯვია, მაგრამ შენც არ ზომიკვდე—არავის არ მოუწერია ხელი; და ამნაირად ეს მქვერმეტყველური ეპისტოლე ხელში შერჩენია...

* * * ჩვენ მოგვიტანეს მინუშად პატარა ნაჭერი ზურგიელისა, რომელიც ამ ოთხშაბათს სასულიერო სემინარიის შაგირდებისათვის მიუერთმევიათ სადილად. ისეთი საძაღლობა რამ არის, ისეთი გამხმარი და აყროლებული, რომ შეხედვა შეგეზიზღებათ, არა თუ ჭკა; სხვათა შორის, ორი მსხვილი მატლიც გახლდათ ამ ნაჭერში.

პური კი, როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელ დღეებში კარგი მოაქვთო.

გინეთ ჩემი მდგომარეობა. მე არ ვიცოდი ვინ მხმობილობდა!

არა! ვფიქრობდი მე გაჩერებული საიღუმლო კარებთან. მხოლოთ შენ შეგხვდებო, პაპალონ მარკოვიჩ, ამ გვარი შემთხვევები!

რამოდენიმე წამის შემდეგ სოფიო ივანოვნა გამოვიდა.

— ლიუბა აღექსანდროვნა ეიცდისთ.. მიოხრა იმან.

ლიუბა აღექსანდროვნა!.. მე გაგშტერდი... მე მარტო ერთ ლიუბა აღექსანდროვნას ვიცნობდი.

— წამოდიო! მოუთმენელათ შემომძახა იმან, და თითქმის ხელის კვრით შემამლო ავთიმყოფის ოთახში. მხოლოთ ბევრს ნუ ილაპარაკებთ, დაუმატა, როცა გადიოდა და ჰკეტდა კარებს.

ოთახში თითქმის ბნელიდა, რადგან ფარდები ჩამოშვებული იყო. პირველ შესვლაზე თითქმის ვერაფერს ვერ ვხედავდი და ვიდექი უძრავათ, როგორც დალურსმული...
— პაპალონ მარკოვიჩ! გაისმა ჩემს სახლორვეს სუსტი ხმა.

* * * ორს სამწუხარო შემთხვევას გვწერენ სამეგრელოდამ: **ქარქვეშელი**

მართი ამათგანი მდგუქარეზის ქვაში, რომ ახალ-სენაკის უფზდის, სოფლის მ—ის მღვდელი ი. პ—ათვის სახლის კაცს მ. პ—ას მოუკლავს გასული ენკენისთვის დამლევს. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ამ მღვდელს ერთობ დაახლოებული კავშირი ჰქონდა თურმე სხენებული სახლის-კაცის ცოლთან, ქმარი ამკარად დარწმუნდა ამაში, ხრმალი დაჰკრა და თუმცა მაშინ მოასწო მღვდელმა გაქცევა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდგომ ამ დაჭრილობისაგან მოკვდაო.

მეორე შემთხვევა უარესია ამაზე; აი როგორის სიტყვებით იწერება ჩვენი ახალ-სენაკელი კორრესპონდენტი:

„ამ თვის 8-ს დაბა ახალ-სენაკში მოვიდა ერთი გლეხი, რომელმაც მიამბო, რომ სოფ. თეკლათის მცხოვრებელმა გლეხმა ტაჩი ჯოჯუამ თავის ხელით მიაკრა ხეზე თავისი ცოლი და სამი დღე და ღამე უსმელ-უჭმელად ჰყავდა ისე მიკრულიო. ბოლოს ერთი ვიღაც მადლიანი ქალი გამოუჩნდა მესამე დღეს, აუხსნა ხელეები და ეს ამნაირად წვალებული ქალი გაიქცა; დღესაც არ იციან—სად წავიდა ეს დედა-კაცი. ზამოჯავრებული ქმარი კი, როგორც ამბობენ, თავის სახლ-კარის გადაწვას აპირებსო.“

„ღრომის“ კორრესპონდენცია

ქიზიუიღამ, 11 დეკემბრისთვის. სიღნაღიდან რომ აღმოხსავლეთისკენ წახვიდეთ, გადაივლით ს. ძუღდულს, ჩახვალთ ბოღბის—ხენეში, იქიღამ პირ-და-პირ გაივლით

თუმცა სუსტი იყო ეს ხმა, მე მაინც ვიცანი; მაგრამ იმდენი ღონე არ მქონდა განძერყულვიყავი; მხოლოთ მივიბრუნე თავი იქითკენ, საითკენაც მომესმა ხმა. თვალეები მიეჩვია სიბნელეს: მე გავარჩიე ლოგინი, თეთრი ზეწარი და ბალიში...
— პაპალონ მარკოვიჩ! განიმეორა კიღვე.

მე იჭვი აღარ მქონდა, რომ ეს ხმა იმას ეკუთვნოდა. ეს იყო ის ერთათ-ერთი ლიუბა აღექსანდროვნა, რომელსაც მე ვიცნობდა! მაგრამ მე რა მოხვლევ ვარ აქ? მშობიარობა!.. მკვდარი ყმაწვილი!.. ქველა ამეებმა გამიღლევს თავში. ხომ იქნება საღმე ამის დამნაშავე!.. მამ მე რიღასთვის დამიძახეს? სიბრაზე მახრჩობდა. არ ამომიღია ხმა, მივბრუნდი და წავავლე ხელი კარს.

— პაპალონ მარკოვიჩ! ღვთის გული-სათვის!.. წამოძახა იმან და გაჭირვებით წამოიწია ლოგინიღდან.

ეს „ღვთის გულისათვის“ ისეთის ხმით იყო გამოთქმული, რომ მე ჩემდა-უნებურათ შევიჩერდი, და თვითონ არ ვიცი,

სს. შანიანს, ძვემო-მაჩხანს და მიხვალთ ს. ტიბაანში. აქ არის მონასტერი, სახელად ხირსის, — თავის არხიმანდრიტით და ბერებით.

ამ სოფლიდამ რომ პირი აღმოსავლეთისკენ ქმნათ, მარჯვნივ შეჰყვება ერთი დიდი ხევი. ამ ხევიში ჩამწკრივებულნი არიან რიგზედ შემდეგი სოფლები: ტიბაანი, პრასიანი, მზაანი, არბოშიკი და ცოლუქანი. ეს სოფლები არიან მიზიყის უკანასკნელი სოფლები; იქით გაიჭიმება ტყეები და დიდ-მშვენიერი ალაზნის ნაპირები, სახანაფ-სათესი ადგილები.

— ს. ტიბაანს ზედვე აკრამს კარგა ვრცელი ადგილი, რომელიც სულ საგნა ვენახებით და რომელსაც ჰქვიან ხირსის ვენახები. ამ სენახებში აქვს წილი როგორც ტიბაანის და პრასიანის გლეხებს, აზნაურებს და სასულიერო წოდების პირებს, ისე სხვა სოფლებისასაც: ძვემო მაჩხანელებს, სომხებს, ზოგიერთ სიღნაღის ჩინოვნიკებს და სხ.

რადგანაც მიზიყი, საზოგადოთ, უწყლობით ძალიან საწყალი და გაჭირვებულია, რადგანაც აქაური ვენახები ურწყავათ ერთი გროში არა ღირან, მისთვის, რომ აქაური მიწა მეტის-მეტე ფიცხი მიწაა და რადგანაც ზეციური წყლის, წვიმების იმედი აქაურებს დაკარგული აქვს და კიდევაც რომ ჰქონდეთ იმისი იმედი, მაინც მარტო წვიმა ვერ ასველებს, ვერ აღბობს ხოლმე რიგინათ აქაურ მიწას, — ამისათვის ამოდენა ვეებერთელა ზვრების პატრონები შეჰყურებენ მარტო ერთ პაწაწკინტელა მდინარეს — ლულეს, რომელიც ვაინა-

ჩრობით აკმაყოფილებს, ე. ი. რწყავს ამ ვენახებს.

— როგორა ჰყოფნის და როგორ აქვს დანაწილებული, როგორ ხმარობენ ამ მდინარეს?

ეს მდინარე გამოდის არბოშიკის, მიზანის და ცოლუქანის ადგილებში, გზაში რამოდენიმე წყაროები მიემატება და ამნაირათ გამოივლის მზაანის, პრასიანის და ბოლოს ტიბაანის ადგილებში.

მკაო და წყალი ჩვენში გამოივლისო და ვენახებიც აქ არისო, ტიბაანელების და წმინდა-სტეფნის მონასტრის ბერებს უტაცნიათ ხელი წყლისთვის და დაუპატრონებიათ რაღაც საბუთით.

მხლა ჩვენი ვენახების პატრონებიც გამდგარან განზედ და ჯავრობენ: „რატო ეგეთია, ე ბალთამანი! რა უსინდისობა და უსამართლობაა, ღმერთმანი, რომ ქვეყნის წყალს, ღეთისგან ნაბოძებ მდინარეს ერთი სოფელი საკუთრობს და ერთ ნამცეცა წილს არ გვიღებს!“

მაგრამ რას მოუმატებენ! ტიბაანელები ვაჭრობენ ამწყლით, როგორც მეღუქნ ე ფარხით. მინდა ვენახი მორწყო, — ჩაუთვალე მოთავე კაცებს 15—20 მანეთი, თანაც კარგა დაეღრიჯე, ორჯერ-სამჯერ სთხოვე და ერთ დღე და ღამეს მოგიყიდის წყალს; თუ არ მისცემ ამდენ ფულს, დარჩეს შენი ვენახი მოურწყავი!

მდინარეს არბოშიკში აქვს სათავე, ამდენ სოფელს გამოივლის და ბოლოს ტიბაანში მივა; ესენი კი იძახიან, რომ იმათ ეკუთვნისთ წყალი! „საიღამ საღაო, წმინდა საბაო?“

მტკვარს აქვს სათავე სომხეთის მთე-

ბთან, იმას გართან ჩაერთვის ლიხვი, მემრე შანი, ბოლოს სრავი და ამნაირათ ჩამოივლის ქალაქში, და ამისთვის ნება გაქვს, ქალაქელებო, მტკვარს დაეპატრონოთ და არავინ ასარგებლოთ უფულოთ?

როინი გამოდის რაჭის ზევით, მრპირითან ერთვის იალბუზის ახლოდამ წამოსული მდ. სხენის-წყალი და მემრე თითონ მრპირში გაივლის. აქ გაიარა ამ მდინარემო, ამისთვის საწყალ მრპირს შეუძლია თავის საკუთრებათ გახადოს ეს მდინარე?

სწორეთ ასეა ჩვენი ღელის საქმეც.

ახ, ერთი ადვოკატის ეს. ჰქონდეს, როგორებს ვიტყოდი! ისე ავაჭიკიკებდი კანონებს, რომ...

ამდენი ხანი მოხასტერიც მოზიარე იყო ამ მდინარისა, ისიც ფულებს იღებდა; მაგრამ დიდი ხანი არ არის, ჩამოართვეს იმას ტიბაანელების საჩივრის გამო შემოსავალი და მხოლოდ წყლის ჯერი მისცეს, რამოდენიმე დღე კვირაში, თავის საკუთარი ვენახების მოსარწყავათ. მხლა სრული მეპატრონენი გახდნენ მარტო ტიბაანელები.

ხალხს ესმის ეს უსამართლობა, ცხადათ ხელავს ტიბაანელებში უკანონო მეპატრონეებს, ბევრსაც ლაპარაკობს, მაგრამ რა ჰქნას? თავის-თავად საქმე არ გარიგდა, მანქანებით ტიბაანს წყალი არ წაერთვა და თაონობა, მოხერხება, საქმის დაწყება ჩვენი გლეხისთვის ღმერთს არ მიუცია, ან მიუცია, მაგრამ ვერ მოუხმარია. იკითხონ საწყლებმა, ღარიბებმა, იტირონ ისევე ამათ, თორემ ზოგიერთებს რა უშავთ, იმ ზოგიერთებს, რო-

როგორ გაჩნდი იმის ლოგინთან. ის მეცა ხელზედ და მაგრათ მომაჭირა ხელი, თითქოს ეშინოდა, რომ არ გაქცეოდი და აკანკალეხულის ხმით მიხურჩულებდა.

— ნუ მიმატოვებ! ბაფიცებ შენს სიყვარულს, ნუ მიმატოვებ!

რას იზამდით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავით? მე მკონია, თქვენ მოიქცეოდით, ამ რიზათ: ე. ი. ხუთი წამის შემდეგ, როცა თქვენ გადაწყვიტეთ გაქცევა. იჯდომებოდით მას ლოგინთან, გვეტირებოდა მისი გამხმარი და გაყვითლებული ხელები, აღუთქვამდით მოცდას და მოუშენდით აღსარებას საცოდავ თქვენს საყვარელს ქალს! სწორეთ აგრე მოიქცა პაპლონ მარკოვიჩი! და მისი აღსარება კი სულ უბრალო, ჩვეულებრივი იყო. სხვა-და-სხვა კობტა ყმაწვილებ შორის, ბიცოლა თქვენთან დადიოდა ერთი ვილაც... შვარი არ არის საჭირო, რადგან ამ საქმეს არ შეეხება, მხოლოთ გეტყვით, რომ ეს ვილაც განსხვავდებოდა სხვებისაგან მონდენილის სახით და საკმაო სიმდიდრით. სხვებისა-და-გვართათ

ამანაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ხარიტონოვის შეილობილს, რადგან ამაში არაფერ ცოლვას არ ჰხედავდა და თავსაც იქცევდა. მაგრამ გამიჩნდა, რომ ლიუბა ალექსანდროვნა ამის ხაფანგში ვაება! ძალიან მარდათ გაუსხლტებოდა ის ხელიდგან სხვა თაყვანის-მცემლებს, აქ აი მოატყვილა ტკბილმა სიტყვებმა! რასაკვირველია, ცოლობის დაპირებაზე არ ძუნწობდნენ; მაგრამ ეს განზრახვა გადიდებოდა ხოლმე ხშირათ, და ერთ მშვენიერ დღეს ქორწილი მართლა მოხდა, მაგრამ, ხარიტონოვის გაზდილზე და მის სოფელში კი არა, პეტერბურღში გამოჩენილი ბარონის ქალზე. ძალიან კარგი. როგორც ჰხედავთ, ყველაფერი თავის წესით მიდიოდა, და დარჩებოდა იქნება კიდევ აგრე კობტა ყმაწვილსა და შეილობილს შუა, რომ შედგებ არ გამოჩენილიყო. ხარიტონოვის ცოლი, როგორც გამოცდილი ქალი ამ შემთხვევაში, დიდხანს არ დარჩენილა გაუგებრათ შესახებ ნიდავის უქიფობისა, და არც იმის შესახებ უფიქრნია ზვერი, თუ როგორ მო-

იქცეს. ბევრი ლაპარაკისა და ლანძღვის შემდეგ, ლიუბა გამოავლო თავის სახლიდგან... რაღა უნდა ექნა? დაბრუნდა პეტერბურღში, არავის არ ენახებოდა, გაჰყიდა ყველაფერი თავის ნივთები, და შეიიახა ამ გვართ თავი, სანამ შეიძლებოდა სოფიო ივანოვნასთან შესვლა. აქ რაკი გადაჩრა იმდენ ზნეობით და ბუნებით ტანჯვას, აღარ შეეძლო სურვილის მოთმენა, რომ არ ენახა ერთათერთი კაცი, რომლის კეთილშობილებაზე დარწმუნებული იყო... და გაგზავნა კაცი პაპლონ მარკოვიჩთან. პაპლონ მარკოვიჩიც მაშინვე მოვიდა და ისმენდა იმის აღსარებას, რომელიც მისთვის ყოველ ტანჯვაზე უარესი იყო... და გადაწყვიტა, რომ არ დაეგლო ის. დასასრული ამ გადაწყვეტილებისა ის იყო, რომ ორი თვის შემდეგ პაპლონ მარკოვიჩი ჯვარ-დაწერილი მიდიოდა თავის ახალგაზდა ცოლით ქალაქელის ვაჟების სასწავლებელში მასწავლებლობის ადგილზე.

(გაგრძელება)



მღებთათვის 2 თუმანი ორი გროშია; აიღვე ვიტყვი, იმ წყალს, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოებას, იმ წყალს, რომელიც ასე ძალიან საჭიროა ხალხისთვის, ურომლოთაც არც ერთი იქაური ვენახი არ გამოდგება, — ამ წყალს ართმევს საზოგადოებას ერთი სოფელი, იღებს ამდენ უანგარიშო ფულს ერთი სოფელი, შეჰყავს გაჭირვებაში ამდენი ხალხი ერთ სოფელს, რასთვის? რა ძალით და უფლებით? ეს ხო თქვენც იცით ეხლა!.

იქნება ამისი კანონი იყვეს რაიმე, უფ. რედაქტორო, და გთხოვთ ხალხის გულისთვის ნუ დაიზარებთ ორიოდ სიტყვით გაგვაგებინოთ, ან რჩევა მისცეთ ხალხს თქვენი გაზეთის შემწეობით. — მე —

— ძანონი ეს არის, რომ თუ კაცს ანუ სოფელს, ანუ ქალაქს რომელიმე წყლის გამოყენებაზე არაფერი (შრომა და ფული) არ დაუხარჯავს, იმ წყლის დასაკუთრება და გაჩერება არავის არ შეუძლია. და თუ ვინმე დაარღვია ეს უფლება ხალხისა, მაშინ, ადვოკატებისა და კანონის ენით ვიტყვი, ხალხმა უნდა იჩივლოს, რომ თავის დარღვეული უფლება აღადგინოს.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

თან-და-თან ჩნდება ახლა — თუ რამდენი და რაგვარი სხვა-და-სხვა უკანონო და საძაველი ხერხები და საშუალება უხმარია ახლანდელ სამინისტროს იმისათვის, რომ რესპუბლიკელი კანდი-

დატები გააშავებინონ ხალხს და მაკ-მაჰონის მომხრეები კი არ ამოაჩივონ: ზოგან სოფლის მამასახლისები (მერები) და მღვდლები ხევენ თურმე კვლავ ზე მიკრულ რესპუბლიკელ კანდიდატების აფიშებს; ზოგან კაჭიებში და სასტუმროებში ხუთ კაცსა არა ჰქონდა უფლება, რომ ერთად ელაპარაკნათ პოლიტიკურ საგნებზე, რასაკვირველია, თუ შენიშნავენ, რომ ამ ხუთ კაცში ერთი რესპუბლიკელი ურეია; ერთს პარიჟის მახლობელ სოფელში მამასახლისის თანაშემწემ ბუკით მოაგროვა თურმე ხალხი და გამოუცხადა, რომ ჩვენი მღვდელი და მამასახლისი აღვიკრძალავთ თქვენ რესპუბლიკელი კანდიდატების აფიშების კითხვას და იმათთან სიარულსაო და სხვ. და სხვ.

როგორ გასაკვირველი არ არის, რომ ამის შემდეგ რესპუბლიკელებმა მაინც კიდეც თავის ვჰჰ კანდიდატის ამოჩვენა მოახერხეს...

— ბამბეტას გაზეთში „Republique Francaise“-ში დაბეჭდილია თვითონ ბამბეტასაგან ხელ-მოწერილი სტატია, რომელშიაც ის, სხვათა შორის, ამბობს, რომ თუმცა ამ ამოჩვენის დროს ჩვენ ყოველს მხრით შევიწროებული ვიყავით და ბროჰლი-ჭურჭუს სამინისტრო ყოველ გვარ უკანონობას ხმარობდა, მაგრამ მომავალ პალატაში ჩვენც მაინც დიდი უმრავლესობა იქნებაო, ჩვენ ვიქნებით 340-მდინ, რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი კი ორასზე ცოტათი მეტი და ამის გამო გამარჯვება ყოველს შემთხვევაში რესპუბლიკის დამცველებისავენ დარჩებაო.

ოსმალეთი

სტამბოლელი კორესპონდენტი გაზეთის „Голос“-ის გვეცხობებს, რომ სტამბოლი ხმელეთითა და ზღვისკენ, სამოცს ვერსზე გარშემო, ისეთ ნაირად არის გამაგრებული, რომ იმის აღება მტერს ძალიან გაუჭირდებაო. შევლგან სიმაგრეები ააგეს, ყველა სიმაგრეებში დიდრონი ზარბაზნები აქვთ დადგმული და ამას გარდა ჯარიც (ნაციონალური გვარდია) საკმაოდ არისო, რომ დაცვას ეს სატანტო ქალაქიო.

განცხადება

მასწავლებელს ძალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებლად პირველს და მეორის კლასისათვის. ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, საბინ-ბუისის სახლებში, № 13.

ქართული სახალხო სილამაჟი

შეგროვილი და გამოცემული ზაქ. შიჭინაძისაგან. წიგნი პირველი. უასი ყველგან ერთი შაურა

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯალთაზედა რომელთაცა გადასწვებენ მომრიგებელნი მსაჯულნი. ძასსაციონი განაჩენებითა და „თაგაჰია წესდება“ ისეილება თ ფ ი ლ ის შ ი, ტერ-ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, მ თ თ ა ის შ ი ტერ-ბრიქუროვის ავენტთან და ს ი ღ ნ ა ლ შ ი უ. ნ. ბამრეკელთან.

რ.პ. გზა.	დღლა.	სალა.	II კ.	III კ.	ტელერაში	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი .	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 12 ღვინო.		თფილისი, 14 ღვინო.	
მცხეთა .	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს . . .	1 —	მთიი პანეთი ღირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	190
ბორი .	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს .	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი . . .	145
ხაშური .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს .	2 —	პარიჟში 250 სანტიმი.	81	ჭერი ფუთი . . .	125
სურამი .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას . . .	2 —	მსკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	ბაბა პრევისა, ფუთი .	820
შვირილა .	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში .	3 —	ბანკის ბილეთი 5%	94 50	— პმერიკისა, ფუთი . .	850
რიონი .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და სფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისესხი)	207 25	ბავენტილი ბაბა ფთ.	950
სამტრედია .	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე შესხი)	202 50	მატული თუშური ფთ .	7 —
ახ.-სენაკი .	—	—	8 57	4 76	ფლორია		ბერაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ . . .	350
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		თფილ. საზნ. ბანკისა.		პბრეშუმი ნუბური სტ.	3 —
შოთი	9 13				მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	ძონი, ფუთი	580
ახ.-სენაკი .	—	—	1 18	66	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ.		მოსკოვის (5%)	85 50	სონის სანთელი ფუთი.	8 —
სამტრედია .	11 16		2 6	1 14	წიგნის გაგზავნარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აკციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12 54
რიონი	12 13		3 4	1 69	წიგნის გაგზავნარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მდესის სავაჭრო ბანკის	177 —	ხორცი ძროხისა. ლიტ.	54
შვირილა	1 18	ლაგე	3 98	2 21	ლა წიგნის	4	შოთი-თფილ. რკინ. გზის	—	— ცხვრისა, ლიტრა . . .	63
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	დ. ბეჭდილის (სამი მისხალი) .	8	შავი ზღვის ცეცხ. გემების	527 —	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			პაველის და მერკულის . . .	225 —	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	8 20
ბორი	7 5	4 87	3 64	9			პირვ. საზღვევ. საზღვა	745 50	— ფხვნილი ფუთი	7 20
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			პეტერბ. საზღვევ. მსაზმ.	235 50	შავა გრგვალი, ფუთი . . .	26 —
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზღ	238 —	მქოლი 1/2 იმპერიალი . . .	8 28